პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 ნოემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 651 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების უფროსის. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა . სავალე ელ. 1[6]
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

სალამი უმცროს მეთაურებს.

დღეს უმცროს მეთაურთა სკოლა გამოუშვებს ახალ კადრს წითელი კომანდირებისას.

წითელი ჯარი საერთოდ ნორჩი შეიარაღებული ძალაა. მით უფრო ნორჩია ქართული წითელი ჯარი. აქედან, თავისთავად ცხადია, რომ ის ჯერ-ჯერობით ვერ არის მოწყობილი სათანადოთ და საჭიროთ.

მთავარი, რაც წითელ ჯარის განვითარებას ხელს უშლის ეს მეთაურთა უყოლობაა.

მეთაური უფროსი თუ უმცროსი ერთნაირ საჭიროა ჯარისათვის. კარგ მეთაურებზე არის დამოკიდებული წითელი არმიელის, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მომზადება.

წითელ ჯარის შეგნება, არ არის დაფუძნებული სხვა ქვეყნის ჯარების შეგნებაზე. მით უფრო არ არის ის ნიკოლოზის დროინდელ არმიის მგზავსი.

წითელი არმია პირველ ყოვლისა მოითხოვს შეგნებას და განვითარებას. თვითეული წითელი არმიელი რევოლიუციონერია. ჩვენი ჯარი შესდგება გლეხისა და მუშისაგან. ის კლასიურია და როგორც ასეთი მატარებელია განსაზღვრულ აზრის, განსაზღვრულ ინტერესის.

წითელი ჯარი არ არსებობს სხვა ქვეყნების დასაპყრობათ, სახელმწიფოს საზღვრების გასაფართოებლად. ის რევოლიუციის დარაჯია, დარაჯია მოპოებულ თავისუფლების. საბჭოთა კავშირს ბევრი მტერი ყავს. შიგნივ კბილებს ილესავს და უკმაყოფილოა ყოფილი მემამულე, თავადი, აზნაური, მღვდელი, ბოქაული, გუბერნატორი და სხვა. გარეშე სახელმწიფოები უკმაყოფილონი არიან, ვინაიდან წითელ ხაზის მიჯნას გარეშე მყოფ ულარიბეს გლეხებს და მუშებს ისე უნდათ მოაწყონ თავიანთი ბედი, როგორც ჩვენ საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებს. ამიტომაც არის სწორეთ, რომ ევროპის სახელმწიფოებში სასტიკ დევნას განიცდის მუშათა კლასის ერთგული და ერთ-ერთი წინამძღოლი კომუნისტური პარტია. ამიტომაც არის, რომ მთელი რიგი სახელმწიფოებისა ქუჩებში, ციხეებში, აუტანელ ტანჯვა-ვაებაში ხდიან სულს მებატონეებისა და მთავრობის მოხელეებისაგან მოთმინება გამოსულ მუშათა კლასს.

ეს კი ავალებს წითელ ჯარს იყოს მუდამ მზათ მუშებისა და ღარიბი გლეხების ინტერესების დასაცავად. ეს ავალებს მედგარი იყოს წითელი ხიშტი.

ამისთვის კი საჭიროა გლეხურ-მუშურ ჯარს სათავეში ედგას ისევ გლეხი და მუშა. აი ამ გლეხებს და მუშებს გვაძლევს ჩვენ დღეს უმცროს მეთაურთა სკოლა. დღეის შემდეგ ისინი დარიგდებიან ქართული წითელი ჯარის ნაწილებში.

ახლად მომზადებული გლეხი და მუშა ამოუდგება თავისივე ბედში მყოფ მუშა და გლეხ წითელ არმიელს. ამ ორ პირს მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი უფროსია, მეორე კი რიგის კაცი, არ გაუჭირდებათ ერთი-მეორის გაგება.

ისინი ერთ სახელოსნოდან, შრომის ოჯახიდან, არიან გამოსული. მათი აზრი და ინტერესი ერთი და იგივეა, ერთსაქმეს ემსახურებიან და ერთი აზრი აწუხებთ.

გაუმარჯოს უმცროს მეთაურებს.

შენი მოძმე გელის შენ წითელ ყაზარმაში.

შენ იცი როგორ პირნათლად და სისწორით შეასრულებ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

სამხედრო მომზადებაზე უნდა ვსწეროთ.

ჩვენი გაზეთი პირველ ყოვლისა სამხედრო გაზეთია. ეს გამოიხატება არა იმაში, რომ მას სამხედრო ორგანიზაცია სცემს, არამედ იმაში რომ ჩვენი გაზეთის მთავარი დანიშნულებაა სამხედრო ნაწილების ცხოვრება გააშუქოს. კარგი მოიწონოს, ცუდი დაიწუნოს და ამ გზით დააყენოს საქმე სათანადო დონეზე.

ნაწილის ცხოვრება მრავალ ფეროვანია. ეს მრავალ ფეროვანება მოითხოვს თავის დროზე შენიშვნას და პრესაში გაშუქებას სხვა და სხვა საკითხისას.

არის საკითხები, რომელთაც მნიშვნელობა დროის მიხედვით არ ეკარგებათ. მაგრამ არის ისეთიც, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ დროს. სულ უბრალო მაგალითი რომ ავიღოთ, ეს უკვე ცხადი იქნება ყველასათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ჯარში ერთი და იგივე პირი მუდმივ არ მსახურებს. გაათავებს განსაზღვრულ დროს, წავა უვადო შვებულებაში. მათ მაგიერ მოვა ახალწვეული. ამ საკითხებს წასვლა-მოსვლის მომენტში ესაჭიროება განმარტება. სამ ან ექვსი თვის მერე, რომ უწეროთ ჯარში მოსულს ახალწვეულების ცხოვრების შესახებ ეს უნაყოფო იქნება.

ხშირად ისმება საკითხი გაზეთის თანამშრომლების წინაშე როგორ სწერონ და რაზე სწერონ.

ამაზე ჩვენ ხშირად გვქონდა წერილები. ეხლა მის განმარტებას ველარ დაუბრუნდებით.

მიღებულმა ზომებმა, ახსნებმა და განსაკუთრებით სამხედრო კორესპონდენტთა თათბირმა შედეგი გამოიღო. დღეს ჩვენ გვყავს საკმაო რიცხვი კორესპონდენტთა. რასაკვირველია, უმეტესი და უკეთესი ზედმეტი არ იქნება. მაგრამ „როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო“ ნათქვამია და ჩვენც არსებულ ძალებით ვაწარმოებთ პრესითი მუშაობას.

ნაწილების ცხოვრების გაშუქება მართალია ფრიად დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ასე თუ ისე მაინც გვაქვს მოგვარებული.

ერთი რამ კი გვაკლია და ეს არის დიდი დანაკლისი.

ჩვენი კორესპონდენტები სრულებით არაფერს იწერებიან სამხედრო სწავლის მიმდინარეობის შესახებ. შეიძლება ვინმეს ეგონოს ეს ზედმეტი საქმეაო. ეს შეცდომა იქნება. გაზეთისათვის სამხედრო საქმე არამც თუ ზედმეტია, არამედ ერთი უსაჭიროეს საკითხთაგანია.

რასაკვირველია ეს არ უნდა გავიგოთ ისე რომ გაზეთი სარდლობას გაუწევს ვისმე. არა, გაზეთის ფურცლებზე უნდა აღინიშნოს რამდენად უადვილდებათ ან უჭირთ ახალწვეულებს სამხედრო საქმის შეთვისება. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ სამხედრო მეცნიერებაში წითელი არმიელის დაწინაურებაზე.

საშუალებას მოგვცემს ახსნით, განმარტებით და საუბრებით გადავალახვიოთ თვითეულ წითელ-არმიელს ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც მას წინ ხვდება სწავლა-გაწვრთვნის საქმის წარმოების დროს.

სამხედრო კორესპონდენტმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და მოგვაწოდოს წერილები ამის შესახებ.

რადიო-დეპეშები.

ციხე ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის შეხვედრისათვის კოვნოს საკატორღო ციხის პატიმრები დასჯილ იქნენ.

მათ აღუკვეცეს ნათესავების ნახვა ორი კვირის განმავლობაში.

ესტონეთის კომუნისტების გასამართლება.

დახვრიტეს სიმართლისათვის.

15 ნოემბერს ღამით დახვრიტეს ესტონეთის სახელმწიფო კრების წევრი ტომი. ტომს დახვრეტა მიუსაჯეს იმიტომ რომ, სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე მან განაცხადა: „საზიზღარ ბურჟუაზიის სასამართლოს წინაშე მე არ ვსცნობ თავს დამნაშავედო“.

პანების პოლონეთში.

ცვლილების შესახებ პოლონეთის მთავრობაში.

გაჭიანურდა მოლაპარაკება კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ.

ჯერ-ჯერობით დანიშნულია ვიცე პრემიერის კანდიდატად პარტია „ვიზვოლენიე“-ს ლიდერი ტუგუტი.

ამზადებენ ნიადაგს.

პოლონეთის სეიმმა მემარჯვენეების ხმის უმეტესობით გადასცა სასამართლოს ოკონი მიტინგზე სიტყვის წარმოთქმისთვის. სეიმის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილებას დეპუტატთა ხელშეუხლებლობის შესახებ.

როგორც სჩანს სეიმმა განგებ ჩაიდინა ეს, რათა შემდეგში თავისუფლად გასწორებოდა კომუნისტურ დეპუტატებს.

ასეც იყო მოსალოდნელი.

სეიმმა გადასდო პოლონეთის სოციალისტების წინადადება უკრაინის უნივერსიტეტის ორგანიზაციის შესახებ ლვოვში.

დიდი გამარჯვება აღმშენებლობის ფრონტზე.

ზემო-ავჭალის წყლით მამოძრავებელი სადგურის მთავარი არხის გახსნა.

კვირას 16 ნოემბერს დანიშნული იყო ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მთავ. არხის გახსნა.

დილიდანვე აუარებელმა ხალხმა იწყო დენა ზემო ავჭალის მიმართულებით.

12 საათიდან დაიწყესმუშაობა მიწის ასაფეთქებლათ. ეს ადგილი, რომელიც უნდა აფეთქებულიყო, აერთებს არხს მდინარე მტკვართან. მისი აფეთქების შემდეგ წყალი მდინარიდან გადმოვიდოდა არხში. მუშაობა გაგრძელდა 2 ნახ. საათი. აფეთქებულ იქნა სულ 22 ფუთამდე დინამიტი.

გახსნას დაესწრენ სხვა და სხვა დაწესებულება წარმოებათა წარმომადგენელნი, მუშები, მთავრობის წევრები და სხვები, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ათასს აღწევდა.

ნაშუადღევის 3 საათზე ხალხმა იწყო დაშლა.

განხეთქილება ინგლისის ლიბერალურ პარტიაში.

ლიბერალ კაპიტანმა ბენიმ (პარლამენტის წევრია) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებს ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ.

ლიბერალურ წრეებში დიდი განგაში გამოიწვია ამ წერილმა. წერილის ავტორი აცხადებს: „ჩვენი დამარცხება არჩევნებში არ გამოუწვევია სუსტ შეკავშირებას. დამარცხების მიზეზი არის ის, რომ ჩვენ დავკარგეთ ნდობა. ხალხი არ ენდობა ლოიდ-ჯორჯს და სამართლიანადაც იქცევა. მე არ შემიძლია ვიცნო ლოიდ-ჯორჯი ჩემ ლიდერად იმისათვის, რომ კვლავ წამოვდგეთ ფეხზე, ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა: ჩვენ უნდა დავტოვოთ მერყეობა და ინტრიგები.“

გაზეთების აზრით ხსენებული წერილი ნიშნავს განხეთქილებას ლიბერალებს შორის, რომელიც გამოიწვევს შეთანხმებას ლოიდ-ჯორჯის მომხრეებსა და კონსერვატორებს შორის, ხოლო მემარცხენე ლიბერალები შეუთანხმდებიან მუშათა პარტიას.

ამხ. კრასინის დანიშვნის შესახებ.

საფრანგეთის გაზეთები ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის მიმართ.

„ექსელსიორი“ აქვეყნებს წერილს, რომელიც ესალმება კრასინის ელჩად დანიშვნას პარიზში.

ტარას შევჩენკოს სამარე.

ტარას შევჩენკოს საფლავი, რომელიც იმყოფება მდინარე დნეპრის ნაპირას ქალაქ კანევის ახლოს, გადადის საგუბერნიო პოლიტგანათლების მზრუნველობის ქვეშ. ამ ახლო მომავალში საფლავთან გაიხსნება შევჩენკოს სახელობის მუზეუმი და ქოხ სამკითხველო.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩეხო-სლოვაკია იცნობს საბჭოთა კავშირს არა უგვიანეს იანვრისა.

ლეგიონერთა ორგანო „ნაროდნი ოსვობოჟდენი" (სახალხო თავისუფლება) მოითხოვს საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობას. გაზეთი სწერს: „საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა ჩეხიის ხალხის დიდი უმრავლესობა და ყველა პარტიები, გარდა ნაციონალ-დემოკრატებისა."

გაზეთი ფართო მასების გულის წყრომას გამოსთქვამს ემიგრაციის წინააღმდეგ.

პრაგის გაზეთების აზრით საბჭოთა კავშირის ოფიციალური ცნობა მოხდება არა უგვიანეს იანვრისა.

გერმანია-საბჭოთა კონფერენციის გახსნა.

15 ნოემბერს გაიხსნა გერმანია-საბჭოთა კონფერენცია სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

სხდომა გახსნა ამხ. კრასინმა, რომელმაც მისალმების სიტყვის შემდეგ აღნიშნა კონფერენციის მიზნები და ამოცანები ორივე ქვეყნის ეკონომიურ თანამშრომლობის საქმეში.

კონფერენციის შემდეგი სხდომა მოხდება 17 ნოემბერს.

უკანასკნელი წუთები.

პარიზის ემიგრანტების წრეებში ამტკიცებენ, რომ სუვორინის ორგანო (თეთრგვარდიელების) ჩქარა შესწყვეტს არსებობას უსახსრობის გამო.

საფრანგეთის მფრინავების ჩამოსვლის შესახებ მოსკოვში.

საფრანგეთის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს საფრანგეთი მფრინავების ჩამოსვლის შესახებ მოსკოვში.

გაზეთი „აქსიონ ფრანსეზი" განმარტავს ამ ცნობებს და აღნიშნავს რომ მთავრობის მიერ სუბსიდიის გაღება პარიზ-მოსკოვის საჰაერო გზის მოსაწყობად, ფულის უნაყოფო ფლანგვა და მეტი არაფერიო.

საბჭოთა კავშირისა და სპარსეთ შორის ვაჭრობა ფართოვდება.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სინდიკატმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება სპარსეთის სატახტო ქალაქ თეირანში.

ხსენებულ ქალაქში უკვე გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომელთა ნაწილები გამოფენილ იქნება, ნაწილი კი გაიყიდება.

ინტერესი საბჭოთა აღმშენებლობისადმი.

„ვოლხვოსტროის" (უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგური საბჭოთა კავშირში) უფროსმა, ინჟინერმა გრაფციომ, რომელიც ამ ჟამად სტოკჰოლმში იმყოფება, წაიკითხა ლექცია „ვოლხვოსტროის" შესახებ, რომელსაც განმარტავდა შუქის სურათებითა და კინემატოგრაფიით.

ლექციას დაესწრო 250 სტუმარი, მათ რიცხვში პრესის, მრეწველობისა და ტეხნიკის წარმომადგენლები,

მონღოლეთის წარმომადგენელი მოსკოვში.

14 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ახლად დანიშნული მონღოლეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იავონ დანზანი.

მას ჩამოჰყვა მონღოლეთის სამხედრო მინისტრი არტინ-ბატორ-მოკოორდეჟამი.

სიმართლე პერსელის სიტყვის შესახებ.

„ფორვერტსში" გამოქვეყნებული იყო წერილი, რომ სიტყვა, რომელსაც მიაწერენ პერსელს, განგებ არის შეთხზულიო.

ამის შესახებ როსტას წარმომადგენელს უცხოელ კომუნისტური პრესის თანამშრომლებმა აცნობეს შემდეგი.

„გერმანიაში ამ ჟამად სწარმოებს საარჩევნო კამპანია. პერსელის ხსენებულ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს მასებში. ის ხელიდან აცლის საბჭოთა კავშირის მტრებს ცილისწამების იარაღს. „ფორვერტსი" და კომპანია არავითარ ზომას არ დაიშურებენ, რომ დაამცირონ პერსელის სიტყვის მნიშვნელობა მუშათა მასებში.

დღეს „ფორვერტსის" რედაქციას გაეგზავნა პერსელის მიერ ხელმოწერილი სიტყვა. ჩვენ მოვითხოვთ, რათა ეს სიტყვა გამოაქვეყნოს „ფორვერსტმა", რათა გერმანიის მუშებს საშუალება მიეცეთ დარწმუნდენ თუ ვინ ეწევა სიყალბეს".

მექსიკის საგანგებო რწმუნებულის ჩამოსვლა.

მოსკოვში ჩამოვიდა მექსიკის მინისტრი და საგანგებო რწმუნებული ვადელიო.

სადგურზე მას მიეგება სხვა და სხვა უმაღლეს დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ჩამოსვლის დღესვე ვადელიო მიიღო ჩიჩერინმა.

ამ დღეებში რწმუნებული ჩააბარებს რწმუნების ბარათს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს.

არჩევნების წინ გერმანიაში.

შტრეზემანი გერმანიის პოლიტიკის შესახებ.

შტრეზემანმა სახალხო პარტიის კრებაზე გამოვიდა სიტყვით საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა, რომ მემარცხენეობის კურსს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. რეალური ნაციონალური პოლიტიკა არ იზიარებს მემარცხენეობის ილიუზიებსო.

ერთა ლიგაში შესვლის შესახებ შტრეზემანმა განაცხადა, რომ აგიტაცია ლიგაში შესვლის შესახებ საჭირო არ ყოფილაო.

გერმანია ყოველთვის მზად იყო ლიგაში შესვლისთვის, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

საშინაო პოლიტიკის შესახებ შტრეზემანმა განაცხადა: „პრინციპიალური უარ-ყოფა გერმანიის ნაციონალისტებთან თანამშრომლობისა ისტორიული შეცდომა იქნებოდა".

გერმანიის სახალხო პარტიის მოწოდება.

გერმანიის სახალხო პარტიამ გამოაქვეყნა შემდეგი საარჩევნო მოწოდება:

„ქვეყნის ბედ-იღბალი დამოკიდებულია მის საგარეო პოლიტიკაზე. ჩვენ მივიღეთ დოუესის მძიმე პირობები, რომ უზრუნველ გვეყო გერმანიის განთავისუფლება.

საშინაო პოლიტიკაში უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ავტორიტეტისა და ეკონომიური მდგომარეობის აღდგენა.

ვანო სარაჯიშვილის დაკრძალვა.

ასეთი დასაფლავება ტფილისს იშვიათად ახსოვს. კვირას 16 ნოემბერს, ჯერ კიდევ დილიდანვე იწყო აუარებელმა საზოგადოებამ დენა ხელოვნების სასახლისაკენ, საიდანაც უნდა გამოესვენებიათ ცხედარი. ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე ხელოვნების სასახლესთან თავი მოიყარეს ტფილისის პროლეტარიატის მოწაფეობის, მსახიობების და საზოგადოთ ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლებმა. წესრიგის სრული დაცვა თავიდანვე ეტყობოდა, რომ არ შეიძლებოდა ამ ზღვა ხალხში. ხელოვნების სასახლესთან გამოსვენების დროს ითქვა გამოსათხოვარი სიტყვები. მაჩაბელის ქუჩა, სოლოლაკის ქუჩა და მთელი თავისუფლების მოედანი ხალხითაა გაჭედილი. ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. ქალ. აღმასკომის სახელით, აღმასკომის შენობიდან მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხ. გავაშელმა. პროცესია თავისუფლების მოედნამდე გადაღებულ იქნა კინო აპარატით, მაგრამ სიბნელის გამო შემდეგ ძნელი შეიქნა სურათების გადაღება.

თავისუფლების მოედნიდან ზღვა ხალხი დაიძრა ოპერის თეატრის მიმართულებით, სადაც უნდა დაესაფლავებიათ განსვენებული. შეუძლებელი იყო გამორკვევა იმისა, თუ სად იწყებოდა პროცესია და სად თავდებოდა. გზა და გზა ცხედარს გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართავდნენ სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. რუსთაველის თეატრთან მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს ტ. ვასაძემ, ალ. წუწუნავამ და სხვებმა.

საფლავზე წარმოსთქვეს სიტყვები მომღერალმა შარაშიძემ და სხვებმა. დასასრულ საოპერო ორკესტრმა საფლავზე შეასრულა გამოსამშვიდობებელი სცენა „აბესალომ და ეთერიდან" და ტირილის სცენა „დაისი"-დან, რომელშიაც მომღერალმა ქალმა პაპოვამ დიდის გრძნობით შეასრულა ტირილის არია.

დაკრძალვის პროცესი დასრულდა საღამოს 6 ნახ. საათზე.

საბჭოთა ფედერაცია.

ბურიატ-მონღოლური გაზეთის მუშკორის მოკვლა.

რევოლვერის ტყვიით ვერხნეუდინსკში დასჭრეს ბურიატ-მონღოლური გაზეთ „პრავდა"-ს მუშკორი ნესტეროვი, რომელიც გარდაიცვალა იმავე დღეს,

მკვლელი შეიპყრეს.

ნესტეროვი იყო შუშის ქარხნის მუშა.

ის იყო პრესის აქტიური მუშაკი.

მკვლელი „კულაკები"

შეიპყრეს სიზრანის გლეხთა გაზეთ „კრასნი ოკტიაბრის"—კორესპონდენტის სვერინის მკვლელები.

მკვლელები „კულაკები" არიან რომლების საქმეები გამომჟღავნებული იყო გაზეთში.

საბჭოთა კავშირის და გერმანიის შორის სავაჭრო მოლაპარაკების გარშემო.

მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის კვლავ განახლდა. როგორც ვიცით ეს მოლაპარაკება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, მაგრამ ის შეწყვეტილ იქნა გერმანიის პოლიციის მოულოდნელი თავხედური თავდასხმით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ბინაზე. ეს იყო გასული წლის ივნისის თვეში.

მას შემდეგ სავაჭრო ურთიერთობათა ნორმალურ მოწესრიგების შესახებ ამ ორ სახელმწიფოთა შორის არავითარი ოფიციალური მოლაპარაკება არ გამართულა.

გერმანიის მთავრობა დღემდი სდუმდა.

მაგრამ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ, და ზოგ მნიშვნელოვან წვრილ იმპერიალისტურ სახელმწიფოების საბჭოთა კავშირის ცნობისადმი მზადებამ, როგორც ამას მაგალითად ჩეხო-სლოვაკია აპირებს, აამეტყველა ის.

გერმანიის ბურჟუაზია კვლავ თანახმა გახდა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისა სავაჭრო ურთიერთობათა მოწესრიგების შესახებ.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, თუ რა რიგად მოკლებულია პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას საზოგადოთ ბურჟუაზია და კერძოთ გერმანიის კაპიტალისტები. მათ ეგონათ, რომ თავისი თავხედური საქციელით, არაფერი არ დაეკარგებოდათ თუ საბჭოთა კავშირთან შესწყვეტდენ სავაჭრო კავშირს. ამ გარემოებას ისინი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდენ.

მაგრამ დღეს კი, როდესაც თვით საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი საფრანგეთი იჩქარის ჩვენთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური დამოკიდებულების გაბმას, გერმანიაც ხედავს თავის შეცდომას.

გერმანიის შეცდომა და სიბეცე აქ კი უადრესად დიდია.

შარშან, როდესაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის მთავრობასთან, ჩვენ გაცილებით უფრო უარეს პირობებში ვიყავით, ვიდრე დღეს. მაშინ გერმანიის ბურჟუაზიას მეტი სარგებლობის მიღება შეეძლო ჩვენთან მოლაპარაკებაში, ვიდრე დღეს.

დღეს სრულიად სხვა პირობებია.

ამ პერიოდში ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა და ისეთ დათმობებზე ჩვენ აღარ წავალთ, ვიდრე ამას მაშინ ჩავიდენდით.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ბერლინში დღეს გამართულ გერმანიის და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებას მაინც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარესათვის.

დღეს გერმანიის ბურჟუაზიას მეტი შორსმჭვრეტელობა და დაკვირვება მართებს რომ კვლავ არ გაიმეოროს შარშანდელი სისულელე.

ამისათვის კი მან სავსებით უნდა შეიგნოს ერთი გონიერი რჩევა, რომელსაც მას აძლევს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანო „ეკონომიური ცხოვრება" ერთ თავის წერილში: „მიისწრაფვის რა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისაკენ, ამისათვის გერმანიის კაპიტალს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთად ერთი პირობა—ეს პირდაპირ და გულახდილად საბჭოთა კავშირის საგარეო მონოპოლიის და ყველა აქედან გამომდინარე შედეგების ცნობა".

თუ გერმანიას სურს ჩვენთან მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური კავშირი მან ყოველ მიზეზ გარეშე უნდა იცნოს ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცდები ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა უნაყოფო იქნება.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ წარსულის მწარე გაკვეთილებით გამოცდილი, გერმანიის მთავრობა ხელმეორედ არ ჩაიდენს შეცდომას და სავსებით დათანხმდება ზემოთ მოყვანილ გონიერ რჩევაზე.

დე, გერმანიის მაგალითი გაკვეთილი იყოს სხვებისთვის, ვინც კიდევ ჯიუტობს და გერმანიის შარშანდელ სისულელეს გზით ლამობს რაიმე გაიტანოს საბჭოთა კავშირთან.

—ფ.

ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ.

დღეს ჩვენი სკოლა დაუგზავნის ქართულ დივიზიის ნაწილებს კურს დამთავრებულ და საკმაოდ გამოცდილ უმცროს მეთაურებს. ეს არის ჩვენი სკოლის უკანასკნელი გამოშვება, რადგან პირველ დეკემბრიდან ის უკვე აღარ იარსებებს, გამოცხადდება დაშლილად.

რა როლს თამაშობდა ჩვენი სკოლა, როგორი იყო მისი რევოლიუციონური წარსული და როგორ ჩამოყალიბდა ის? აი რაა საჭირო იცოდეს თითეულმა ახალწვეულმა, რადგან მისი პირველი მასწავლებელი, ამთითებელი და მაგალითის მიმცემი ამ სკოლიდან გამოსული მეთაური იქნება.

პირველად ჩვენი სკოლა იწოდებოდა სამოსწავლო ათასეულად, რომელიც შესდგა ოცდაერთიან წლებში, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მძვინვარებდენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრები.

ათასეულს სათავეში უდგა ამხ. ...აყაშვილი, ხოლო სამხედრო კომისრად კი იყო ძველი რევოლიუციონერი და გმირი საშა ობოლაძე.

1922 წელში ჩვენმა სკოლამ თითქმის პირველი როლი ითამაშა ხევსურეთის ჩოლოყაშვილის ბანდებისაგან გაწმენდის საქმეში, ხოლო უკან დაბრუნების დროს რამოდენიმე სოფლები გაანთავისუფლა ყაჩაღების თარეშისაგან. ამავე წლის 14 ნოემბერს ჩვენი სკოლა ამხ. საშა ობოლაძის ხელმძღვანელობით მიემგზავრება გურიაში. აქ მართალია გამოგვაკლდა ჩვენი რიგებიდან მრავალი და მათ შორის დაუვიწყარი საშა ობოლაძეც, მაგრამ სკოლამ მაინც პირნათლად შეასრულა თავისი დავალება.

დავბრუნდით თუ არა გურიის ექსპედიციიდან, მოხდა სკოლის კურსანტების გამოშვება და ამ დღიდან გამოეცვალა მას სახელწოდებაც.

სკოლას ეწოდა **„წითელ არმიელებიდან უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი ს. ობოლაძის სახელობის სკოლა“.**

1923 წელს მოხდა სკოლის მეორე გამოშვება. წელს კი მესამედ უშვებს სკოლა თავის კურსანტებს.

წლევანდელი გამოშვება, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ შეგვიშალა ხელი მენშევიკური გამოსვლების წინაამდეგ აქტიურ ბრძოლის წარმოებამ, მაინც საკმაოდ მომზადებულად უნდა ჩაითვალოს.

გამოცდები დაიწყო 12 ნოემბერს, რომელიც ჩაბარებული იქნა საშვალოდ. პოლიტიკური მომზადებით უფრო ძლიერი აღმოჩნდენ ჩვენი კურსანტები.

დღეს ისინი ემშვიდობებიან სკოლას, მათ ხელმძღვანელებს, უმფროს ამხანაგებს და მიეშურებიან ჩვენი ჯარის რიგებისაკენ რომ მხურვალედ ჩაებან წითელ არმიელების აღზრდის საქმეში.

გაუმარჯოს ჩვენს უმცროს მეთაურებს.

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს.

დ. ჭანკვეტაძე.

ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ.

(3-მე გამოშვების გამო).

ყველაზე დიდი როლი წითელი არმიელის აღზრდის საქმეში უმცროს მეთაურებს მიუძღვის.

ასეთ როლს ასრულებდა ქართულ დივიზიაში ჩვენი მეთაურთა სკოლა, რომელიც დაარსდა 1922 წლის იანვარში სამოსწავლო ძირითადი ათასეულის სახით.

უკანასკნელი შევსების დროს სკოლაში თავი მოიყარა მუშების და ღარიბი გლეხების შვილებმა, რომელთაგან 30 პროცენტი ახ. კ. კ. წევრებია.

ახლათ შევსებულ სკოლას მოუხდა მოქმედება მენშევიკურ ავანტიურის წინაამდეგ სამეგრელოში და სვანეთში, სადაც მან სახელოვნად შეასრულა თავისი დანიშნულება.

მართალია ჯერ-ჯერობით კიდევ მრავგვარი დაბრკოლებები გვედობება წინ, მაგრამ სკოლამ გამოცდილ ხელმძღვანელების წყალობით სძლია მათ.

სამხედრო საქმე.

საშწყობრო და სამოსწავლო მეცადინეობანი ყოველ დღიურათ ახალი წესით სწარმოებდა. თითქმის გავლილი იქნა მთელი პროგრამა. საგამოშვებო წარმოებულ გამოცდებიდან სჩანს, რომ კურსანტები დამაკმაყოფილებლათ ერკვევიან საკითხებში, რაც უნდა მიეწეროს—როგორც კურსანტების, ისე უფშემადგენლობის ენერგიულ მუშაობას.

პოლიტ-საათი.

პოლიტ-საათი სწარმოებდა ყოველდღიურათ დილის 7-8 საათამდე, რომლითაც დიდათ დაინტერესდა კურსანტობა.

პოლიტ-განყოფილებიდან გადმოგზავნილი პროგრამა. მრავალ დამატებით იქნა გავლილი.

გამოცდებიდან სჩანს რომ პოლიტ-საათს მიუღწევია თავის მიზნისათვის.

წითელ არმიელებს ნათელი წარმოდგენა აქვთ საერთაშორისო მდგომარეობასა და მუშათა მოძრაობაზე.

სკოლა.

სკოლა გაყოფილი იყო ორ საფეხურად. 1-ლ საფეხურში ასწავლიდენ წერა კითხვას.

მეორე საფეხურის სკოლაში მეცადინეობდა თითქმის ყველა; სკოლით დიდათ დაინტერესებული იყვენ ყველა კურსანტები.

ლენინის კუთხე.

სკოლის ყველა ნაწილს ჰქონდა საკუთარი ლენინის კუთხე, და სწარმოებდა საუბარი, ხმამაღალი კითხვა ახსნაგანმარტებით, კრებები და და პოლიტ-საათი.

ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

თუმცა სკოლამ ბევრჯერ მოაწყო კლუბი, მაგრამ ხან გადასვლის და ხან ჩამორთმევის გამო საკუთრად ვერ შეინარჩუნა და მის მაგივრობას ხშირათ ბიბლიოთეკა და კომუჯრედი გვიწევდა.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო მდიდარია ლიტერატურით და ჟურნალ გაზეთებით, რასაც ძლიერ ეტანებოდა ჩვენი კურსანტობა.

პოლიტ—წრე.

პოლიტ-წრეს მიზნათ ქონდა დასახული საბჭოთა ხელისუფლების ღრმად შესწავლა და საერთოთ პოლიტ-ცოდნის შეძენა. წრე კვირაში ორხელ აწარმოებდა მეცადინეობას, ხვდებოდა ყოველგვარ რევოლიუციონურ დღესასწაულებს და ჩაბმული იყო ადგილობრივ საგამომცემლო საქმიანობაში.

ლიტ—წრე.

ლიტ-წრეც აწარმოებდა მეცადინეობას კვირაში ორხელ. უმთავრესად სწავლობდენ დ. ჰონქაძის, ე. ნინოშვილის და სხვათა ნაწარმოებთ. წრეს განზრახული ქონდა ლიტერატურულ გასამართლების მოწყობა და ჟურნალის გამოცემა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ შესძლო.

დრამ—წრე.

დრამ-წრე, როგორც ტფილისში, ისე სურამში საბანაკოთ ყოფნისას და სამეგრელოშიც. სისტემატიურათ სდგამდა რევოლიუციონურ პიესებს, წითელ არმიელთა აქტიურ მონაწილეობით.

კომუჯრედი.

კომუჯრედი დიდ მუშაობას აწარმოებდა, როგორც პარტიულ ისე პოლიტ--კულტ—საგანმანათლებლო დარგში.

წევრთა რიცხვი გაიზარდა. ყველა წევრები ჩაბმული იყვენ ნაწილში წარმოებულ სხვადასხვა მუშაობაში. მთავარი ყურადღება ექცეოდა ახ. კ. კ. შორის მუშაობას და მუშათა უჯრედებთან კავშირს. ყოველ პარასკეობით ხდებოდა უჯრედის ღია კრებები, სადაც მოხსენებით გამოდიოდენ თვით წითელ არმიელები.

ამხ. კომკავშირელთა მუშაობა.

კომკავშირის წევრები პარტიის წევრებთან ერთათ მუშაობდენ კომუჯრედში, სადაც ინახებოდა მათი პირადი საქმეები.

ამას გარდა სწარმოებდა აგრეთვე ჯგუფური მეცადინეობა, და სწავლობდენ უმთავრესად ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიას და ამოცანებს.

კედლის გაზეთი.

სკოლის დაარსებისთანავე არჩეული იქნა სარედაქციო კოლეგია, რომელიც სცემდა ყოველ კვირეულ კედლის გაზეთს „წითელ სადარაჯოზე“. გაზეთი საშვალო ფორმატის სუფთათ დაწერილი და ყოველთვის დამაკმაყოფილებელი შინაარსიანი იყო.

შეფი.

სკოლის შეფი არის ცეკავშირი. ის დიდ დახმარებას გვიწევდა. მისი მზრუნველობით გვაქვს საუკეთესო საბნები, ქვაბები ყაზარმის მოწყობილება და გაუმჯობესებული სადილი. მრავალგვარ საჩუქრებთან ერთად ყოველ თვიურად გვაძლევდა სწავლა-განათლების და პოლიტგანმანათლებელ საქმიანობისათვის 300 მან.

სამაგიეროთ ჩვენც ავიღეთ შეფობა სოფელ ფონზე, რომელსაც ძლიერ ვეხმარებოდით, როგორც კულტურულ ისე სამეურნეო საქმიანობაში. ამ ჟამად კი უწერთ ჟურნალ გაზეთებს.

ქსენონი და სამნეო ნაწილი.

ავადმყოფობას და სისუფთავეს დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენთან. გვყავს გამოცდილი ექიმი და სანიტარული კომისია.

სამნეო ნაწილში კარგად იყო საქმე დაყენებული.

სინათლით, აბანოთი სურსათ-სანოვაგით, საცმელ სახურავით-კურსანტობა უზრუნველყოფილი იყო.

რემდასის და სამეურო ფლოტის უჯრედები.

ყველა ნაწილებში დაარსებულია კურსანტებისაგან შემდგარი უჯრედები, რომლებსაც აერთებს სკოლის ცენტრალური უჯრედი.

უჯრედმა დიდძალი წევრები შეიძინა თავისი მუშაობით.

დაგროვილია საწევრო გადასახადი და ეწევიან ამ მხრივ შესაფერის აგიტაციას.

სპორტი.

სასპორტო საქმეს დიდი ყურადღება ექცეოდა. ამისათვის გვყავდა სპეციალური ხელმძღვანელი და ყოველ დღიურათ სწარმოებდა მეცადინეობა.

ამ რიგათ მიმდინარე ცხოვრებაში წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებს ჩვენთანაც ყურადღება ქონდა მიქცეული. იყო სუსტი მხარეებიც ჩვენ მუშაობაში, მაგრამ საერთო პირობების მიხედვით მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება.

ე. ცომაია.

ᲛᲔ-4-ᲮᲔ ᲚᲔᲒ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ოქტომბრის ბოლო რიცხვში მოწვეულ იქნა მე 4 ხე ლეგ. საერთო კრება, ჯარის მილიციონურ სისტემის ძირითადი პრინციპების და მისი ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა პოლიტ-განყოფილებიდან ჩამოსულმა ამხ. თალაკვაძემ.

— ასეთი ჯარის სისტემა-ამბობს მომხსენებელი,—შეამცირებს ჩვენს ხარჯებს სამხედრო დარგში და საშვალება მიეცემა საბჭოთა ხელისუფლებას გააძლიეროს ეკონომიური ფრონტები.

მასთან გლეხიც ტერნაწილში სამსახურის დროს არ მოსწყდება თავის მეურნეობას, ოჯახს და შესაძლებლობა მიეცემა კიდევ უფრო გააძლიეროს და aაყვავოს საკუთარი მეურნეობა.

მასთან ამ სისტემაზე გადასვლით უმთავრესი ყურადღება ; ეპყრობა. მიყრუებულ სოფელსაც კი რადგან იქ გვეყოლება შეგნებული წით. არმიელები, რომლებიც ჩირაღდანივით მოევლინებიან ამა თუ იმ სოფელს და შეიტანებენ გლეხებში ცოდნა-განათლებას.

მოხსენების და შეკითხვების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენ მე-4-ხე ლეგ. წით. არმ. და უფპოლიტ-შემადგენლობა აღფრთოვანებით ვეგებებით საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ დიად ნაბიჯებს ამ მხრივ და ვალდებულად ვსთვლით ჩვენს თავს ხელი შეუწყოთ მის განმტკიცებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ნაწილები მზად იქნებიან პირველ დაძახებისთანავე მძლავრად ეკვეთონ მტერს და დაუმტკიცონ თავიანთი ერთგულება მუშურ მთავრობას.

გაუმარჯოს ძლევა მოსილ წ. არმიას და მის ბელადს ამხ. ტროცკის!

გაუმარჯოს ტერნაწილებს, მათი მომავალ მუშაობას.

ლეგსამხკორი გუჯაბიძე.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲡᲐᲜᲒᲠᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

პანაკში ყოფნის დროს პირველ მესანგრე ასეულის კოოპერატიულ დუქნიდან გაცემული იქნა მეორე ტერდივიზიის მეორე მესანგრე ასეულის შემადგენლობაზე 19 მან. 37 კაპ. საღირალი საქონელი მოკლე ვადიანი კრედიტი.

აღნიშნული ასეულის უფროსმა და სამხკომა ხელწერილი მოგვცა რომ ეს თანხა დაკავებული იქნება შემადგენლობის ჯამაგირებიდან და გადმოგვზავნითო.

მიუხედავად ამისა, ეს ფული დღემდის არ მიგვიღია. თანამშრომლები გაიძახიან, რომ ეს ფული გამოგვირიცხეს ჯამაგირებიდან და ალბად ვიღაცას ხელშია შერჩენილიო.

ასეულს ვაცნობეთ ოფიციალური მიწერილობით, რომ გადმოეგზავნათ აღნიშნული თანხა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია დღემდის.

საჭიროა ყურადღება მიაქციონ ასეულის უფროსებმა თუ ვის ხელში ინახება ფული და გადმოგზავნონ საჩქაროდ,

ნოქარი ვ. ლითანიშვილი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ.

8 ნოემბერს ჩვენმა კლუბმა გახსნა სკოლის საერთო **„ლენინის კუთხე**, სადაც მოიპოვება ლენინის შესახებ ყველაფერი.

კუთხეში არის მრავალი ბროშურები, წიგნები და სხვა და სხვა გასართობები, როგორიც არის შახმატი, და სხვა.

კუთხე გახსნა კლუბის გამგემ ამხ. შარაშენიძემ.

სჩანს რომ ამხანაგს დიდი ენერგია დაუხარჯავს ასეთ დიდ კუთხის მოწყობაში.

ამხ. ჰკუასელი, მადლობას უხდის კლუბის გამგეს და უსურვებს მას რათა უფრო კარგათ დაეყენებიოს მისი საქმე. ამხ. მოუწოდებს კურსანტებს, რომ ასეთი კუთხეები მოაწყონ თავიანთ გუნდებში.

მთელი სკოლის შემადგენლობა, დიდ მადლობას უხდის კლუბის გამგეს.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. დადგმული იქნა „შეშინებული ანთიმოზი.“

საღამოს დაესწრენ, როგორც კურსანტები, უფ-პოლიტშემადგენლობა ისე კერძო მცხოვრებლებიც.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე „შეშინებულმა ანთიმოზმა.“

სამხკორი ჭ. ასათიანი.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ.

20 ოქტომბერს მოწვეული იქნა მეექვსე ლეგიონის შემადგენლობის საზეიმო კრება. კრება გახსნა ამხ. შავლაძემ და აღნიშნა მისი საზეიმო ხასიათი ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დაარსებიდან ხუთი წლის თავის გამო.

ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით მოხსენებით გამოვიდა ამხ. კეკუა. ის ვრცლად შეეხო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და ვრცლად აღნიშნა მათი მუშაობა.

მეექვსე ლეგიონის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბოლქვაძე. ბოლოს გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

ამავე დღეს საღამოს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად მოწვეული იქნა ჩვენს კლუბში საზეიმო კრება. ხალხი აუარება დაესწრო. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებიდან. გაფართოებულმა კრებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. აქაც გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია, რის შემდეგ მეექვსე ლეგიონისა და ადგილობრივ ამხანაგების გაერთიანებული ძალებით დადგმული იქნა უფასო წარმოდგენა. დაიდგა პიესა „ორი ჯიბგირი". საღამო კარგად ჩატარდა და მაყურებლებიც ნასიამოვნები დაიშალენ.

ა. ჭკადუა.

მე-2-რე ტერ-ლეგიონში.

8 ნოემბერს მოხდა პირველ და საკავშირო ასეულების ლენინის კუთხეების საზეიმო გახსნა.

საღამოს ხსნის ამხ. ლომაძე, რომელიც აღნიშნავს ლენინის კუთხეების მნიშვნელობას. გამოცხადებულ იქნა კონკურსი ლენინის კუთხეების გაუმჯობესებისათვის.

შემდეგ მოეწყო პოლიტ ლატარეია, რამაც ასიამოვნა წითელ არმიელები და მოითხოვეს რომ ხშირად გამართონ ასეთები. ყველა კითხვებზე წითელ მოლაშქრეები სათანადო გარკვეულ პასუხს იძლეოდენ.

9 საათზე ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის მე-2-რე რაიკომის პიონერთა კოლექტივმა გამართა წარმოდგენა. დაიდგა პიესა „სპარტაკ". რაც მშვენივრად ჩატარდა.

აღსანიშნავი იყო ის, რომ 12-15 წლის ბავშვები ესაუბრებოდნენ წითელ არმიელებს და ეკითხებოდნენ წითელ არმიელებს მათთვის გაუგებარ საკითხებზე.

ამავე პიონერთა კოლექტივის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით სცენაზე მოეწყო მოვარჯიშეთაგან პირამიდები და სხვა და სხვა. საღამოს დამთავრების შემდეგ კოლექტივი ეწყობა და მწყობრათ მიეშურება თავის ბინისკენ.

სამხკორი **ესმაშვილი.**

პასუხად სამხკორ მეთვალყურეს.

გაზეთ წითელ არმიელის—641 №-ში მოთავსებული იყო ამხ. მეთვალყურის წერილი 5-თე ლეგიონის შესახებ, სადაც აღნიშნულია თითქოს ჩვენს ლეგიონში კლუბთან არსებული წრეები სალათას ძილს მისცემოდენ და დაასკვნის: „ნეტავ განახლდება ჩვენს წრეებში მუშაობა"..?

მსგავს რამეს ჩვენს ლეგიონში ადგილი არ ჰქონია; წრეებში ყოველთვის სისტემატიურათ სწარმოებდა მეცადინეობა, როგორც წინათ ისე ამ ჟამათაც.

მართალია ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ რამოდენიმე ხნით შეგვიჩერდა მეცადინეობა მენშევიკური ბანდიტური გამოსვლების გამო, მაგრამ მგონია ამისთვის ვერავინ ვერ გვისაყვედურებს. იმ დროს მთელი ლეგიონის შემადგენლობა დანაწილებულ იყო სხვა და სხვა რაიონებში და ასეთ პირობებში ვისთან უნდა გვემეცადინებია, როდესაც ყველანი დაფანტული ვიყავით? გამოსვლების ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც მთელი ლეგიონის შემადგენლობამ თავი მოიყარა, ჩვენი კლუბი და მასთან არსებული წრეებიც შეუდგნენ მუშაობას.

რად ავიწყდება ამხ. მეთვალყურეს დრამწრის მიერ ჩატარებული წარმოდგენები, რომლებშიდაც თქვენ თვითონ იღებდით მონაწილეობას?

გაიხსენეთ ლიტწრის მიერ ჩატარებული საუბრები სხვა და სხვა თემაზე, ინსცენიროვკები, რომელთა შესახებ რეცენზიებიც კი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. გაიხსენეთ ყველა ესენი, გაეცანით ჩვენს ანგარიშებს კლუბში და თვითონვე დაინახავთ რომ ყალბ ინფორმაციას აწვდით მკითხველ ამხანაგებს.

არ ვიცი რატომ ანგარიშს არ უწევთ და განგებ გვერდს უვლით თუ გნებავთ სამხკორთა წრის მუშაობას, რომლის სხდომების თავმჯდომარედ არა ერთხელ ყოფილხართ თქვენ.

ამას დაუმატოთ თქვენ მიერ გამოქვეყნებული კორესპონდენცია გაზ. „წითელ არმიელის" № 633-ში და ამხ. ყულისკარელის წერილებიც.

რაც შეეხება საერთო განათლების წრის სიზარმაცეს, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წრე დაარსდა უკანასკნელ ხანებში და მეცადინეობაც სწარმოებდა, რომელსაც თქვენ არ დასწრებიხართ, შემდეგ დროებით შეჩერდა ხელმძღვანელის გადაყვანის გამო, მაგრამ დაინიშნა თუ არა ახალი, ისევ ამუშავდა.

დასასრულ გავახსენებ ამხ. მეთვალყურეს სამხკორთა თათბირზე ნათქვამ სიტყვებს: **„შეისწავლეთ საკითხი არსებითად, სწერეთ ყველაფერი რაც სინამდვილეს შეიცავს, და თავი ანებეთ სიცრუეს".**

მე-5-თე ლეგიონის კლუბის უფროსი: ლ. ლალაძე.

საქმე კარგათ დავაყენეთ.

თითქმის არას დროს არ ახსოვს ჩვენს ლეგიონს ისე კარგათ ყოფილიყოს დაყენებული საქმე სამნეო ასეულში, როგორც ეხლა არის.

ასეთი გარემოება უნდა მიეწეროს, უთუოდ კარგი მეთაურის ყოლას, კერძოთ ამხ. ვალოდია დევიძის მუყაით საქმიანობას.

გული გაგინათლდებათ, როდესაც მოდიხართ და ყველაფერს რიგზე ნახულობთ.

ამხ. დევიძე არ ზოგავს თავის ენერგიას, ოღონდ საქმე იქნეს კარგათ დაყენებული. დილიდან საღამომდის თავდადებულად მუშაობს, თავის საკუთარი ღონით, რითაც იგი სხვებსაც აჩვევს შრომას.

დილიდან საღამომდის წითელ არმიელებთან ყოფნით-საქმიანობით, სიცილ ხუმრობით ატარებს დროს. წითელ არმიელები მუდამ სიამოვნებით მოიგონებენ ასეთ მეთაურს, რომელიც ამხანაგურ დამოკიდებულებაში არის მათთან.

სამხკორი ხ. ყ.

ანტი-რელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

ადამიანის რწმენით ეშმაკები არსებობდენ არა მარტო „საიქიოს". ისინი ფუსფუსებდენ ამ ქვეყნადაც ადამიანის გარშემო, რათა შეცდომაში შეეყვანათ და „საიქიოს" ადვილად ჩაეგდოთ ის ხელში. ადამიანი მათ საერთო სახელად ავსულებს, ანუ მაცდურებს უწოდებდა.

აღსანიშნავია ერთი რამ: უძველეს დროში და შემდეგ წარმართობის პერიოდში ამათ სხვა სახელები ეწოდებოდათ: კეთილი და ბოროტი ღმერთები. მაგრამ როცა ქრისტიანული სარწმუნოება წარმოიშვა და ცოტათი მოძლიერდა, მრავალღმერთიანობას ბოლო მოეღო და ბოროტ ღმერთებსაც შეეცვალათ სახელი: ესენი ქრისტიანულ სარწმუნოების ისტორიაში იწოდებიან კუდიანებად, ჰინკებად, აგოებად, ქაჯებათ, ჯადოქრებად და სხვა.

ამათ ამ ქვეყნად მეთაურობდა როკაპი, რომლის მუდმივი სამყოფი ბინა სადმე ზღვის პირად იყო. დრო გამოშვებით ეს ავი სულები დედამიწის ყოველი კუთხიდან გაემგზავრებიან როკაპთან (კონფერენციაზე), სადაც ყოველმა მათგანმა ანგარიში უნდა წარადგინოს თავის საქმიანობის შესახებ თუ რა გააკეთა მან, რამდენი კაცი შეაცდინა და გადაიბირა თავის მხარეზე.

ზოგიერთი ადამიანი ვითომც კავშირს იჭერდა ავსულებთან. ის სიცოცხლეშივე მიჰყიდდა ეშმაკს თავის სულს და სამაგიეროდ ხშირად სიმდიდრეს იძენდა. მასთან ადამიანი გახდებოდა „საიდუმლოების მცოდნე". აქედან წარმოიშვა მკითხავები, მისნები, რომლებიც დღესაც სწამს ხალხს ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეებში.

კათოლიკურმა ეკლესიამ და სახელმწიფომ დიდი ყურადღება მიაქცია ამ რწმენას და ყოველ მხრივ სცდილობდა მის გაძლიერებას.

რად სჭიროდა ეს ეკლესიას?

ცხადია აქ იყო მატერიალური მოსაზრება.

სარწმუნოება აგებულია ბრმად დაჯერებაზე, ყოვლივე იმისა, რაც არ არსებობს. ეკლესია ქადაგებს ასეთსავე ბრმად დაჯერებას. თუ ხალხს ასეთი სისულელე არ ეწამებოდა და მაშინ ის ეკლესიის ძალასაც ვერ იწამებდა; ის ეკლესიაში არ ივლიდა, შესაწირავს არ გაიღებდა და ამით ეკლესიას შემოსავალი არ ექნებოდა.

სახელმწიფოსთვის კი საჭირო იყო ხალხი მორჩილებაში ჰყოლოდა, ის სცდილობდა ხალხში სინათლე არ შესულიყო. აქ ის დიდ დახმარებას და მფარველობას უწევდა ეკლესიებს, რომლებიც საუკეთესო საშუალება იყო ხალხის დასამონავებლად.

ეკლესია თხზავდა და ხალხს აჩვენებდა მრავალგვარ სასწაულებს, რათა მეტი და მეტი მორწმუნეები შემოეკრიბა თავის გარშემო, რათა მეტი სიმდიდრე დაეგროვებია შემოწირულების სახით.

ამ ბრმა სარწმუნოებამ, ანუ ცრუ მორწმუნოებამ დიდი ზარალი მიაყენა კაცობრიობის განვითარებას. ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა მან.

ავსულებთან კავშირში შემჩნეულებს ხალხი დიდის სიმკაცრით ეპყრობოდა. მათ აწამებდენ, სწვავდენ, წყალში აგდებდენ. ეს საშინელი სასჯელი შემოღებულ იქნა საშუალო საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიის მიერ. მას ეწოდებოდა ინკვიზიცია. თითქმის უახლოეს დრომდისაც არსებობდა ასეთი სასჯელის ნაშთი, მხოლოდ უფრო რბილი ფორმით. კუდიანობაში შემჩნეულებს ხალხი მიიყვანდა წყლის პირად, ხელფეხს შეუკრავდა და შიგ გადააგდებდა. ამას ჩადიოდენ იმიტომ, რომ გაეგოთ: არის თუ არა შემჩნეული მართლაც კუდიანიაო. თუ კაცი წყლის ზედაპირზე ტივტივს დაიწყებდა ის ხალხის რწმენით კუდიანი იყო და მას ახრჩობდენ, ან კლავდენ, თუ ჩასძირავდა—ის არ იყო კუდიანი, მაგრამ ხშირად, ასეთ ცდებში კაცი იხრჩობოდა, სანამ მიეშველებოდენ და წყლიდან ამოიყვანდენ.

მახსოვს ჩვენს სოფელში ერთი კაცი იყო, რომელსაც კუდიანს ეძახოდენ და მეზობლები ერიდებოდენ მას. როცა დილით ყანაში მიმავალი გლეხი დაინახავდა მას მომავალს, ან გზაზე დაინახავდა წალდსა და დანას გადააჯვარადინებდა და „ჩვენთან არს ღმერთი"-ს ძახილით და ფურთხებით ჩაუვლიდა გვერდს. რო გეკითხა გლეხისათვის ასე რად ჩადიხარო, გეტყოდა: კუდიანი შემხვდა, დღეს ხეირს ვერ ვნახავო.

ჩვეულებად იყო აგრეთვე ადამიანის დადაღვაც. თუ „კუდიანს" დაღს დაკრავდენ გახურებული შანთით, ის შემდეგში ცუდ საქმეს ვერ შესძლებდა და ვერავის ვერ მოუტანდა რაიმე ზიანს. ასეთი იყო ცრუმორწმუნოების სახე, რომელმაც მრავალი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს. აღსანიშნავია ის, რომ თვით ამ შემჩნეულ ადამიანებსაც კი სჯეროდათ ხშირად, რომ ისინი მართლაც „კუდიანები" იყვნენ.

თუ რა იყო ამის მიზეზი, ამაზე შემდეგ.

№

ამბები სოფლებიდან.

სათემო ერთეულები.

თანახმად შინ. საქ. კომისარიატის ცირკულიარისა ახალციხის მაზრა დაყოფილ იქნა ცხრა სათემო ერთეულათ.

გლეხკომების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

გორის სამაზრო აღმასკომმა დაგზავნა ინსტრუქტორები გორის, ხაშურის, ქარელის, გომის და ახალქალაქის რაიონებში გლეხკომების საქმიანობის გაუმჯობესობის მიზნით.

გურიის სახ.-სამეურნეო სასწავლებელი.

ოზურგეთის აღმასკომმა გადასწყვიტა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მთელი ხარჯები მიიღოს თავის თავზე, გარდა მასწავლებელთა ჯამაგირისა.

ტყეების დამუშავება.

საქ. სახ. კომ. საბჭომ გადასწყვიტა შეუდგეს ტყეების დამუშავებას მიზანშეწონილი გეგმით.

ოზურგეთის გამშვენიერება.

ოზურგეთის აღმასკომის ადგილობ. მეურნეობის განყოფილება შეუდგა ძველი დარაბების შეკეთებას.

ოზურგეთის თეატრი

ოზურგეთის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ შეადგინა ადგილობრივი თეატრის შესაკეთებლათ ხარჯთაღრიცხვა.

აფთიაქების დავალიანება.

სენაკის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე სენაკის მაზრის აფთიაქების დავალიანების დაფარვის შესახებ.

სწავლის მსურველთა სიმრავლე.

სწავლის მსურველთა სიმრავლის გამო, ახალციხის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას მაზრაში ათი სასოფლო სკოლა, ხოლო ქალაქის სკოლებთან მოაწყოს პარალელური განყოფილებები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა სახ.-სამეურნეო გადასახადი აპატიოს ულარიბეს გლეხებს გადასახადის ერთ მესამედამდე.

წინასწარი სამზადისი.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომი ამჟამად აწარმოებს წინასწარ მუშაობას საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლათ მაზრაში.

ლენინგრადის პროლეტარიატის დასახმარებლად.

ოზურგეთში შესდგა ლენინგრადის დაზარალებულ პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი, რომლის მუშაობაც მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს.

ახალი ამბები.

— **ახალი წითელი სასადილო.** ქართ. დივ. მთლ. მომხ. საზოგადოებამ (ევკოგრუზმა) განიზრახა გახსნას ახალი წითელი სასადილო.

— **საქონლის მოსაშენებლად.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაუხსნა „ევკოგრუზს" გრძელ ვადიანი სესხი ჯიშიანი ძროხების შესაძენათ და მერძეობის გასავითარებლათ.

— **სახელწოდების შეცვლა.** სოფ. ვაჩნაძიანის მშრომელი მოსახლეობის შუამდგომლობის თანახმათ საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა სოფ. ვაჩნაძიანს და იმავე სახელობის რკ. გზის სადგურს (თელავის მაზრა) ეწოდოს „შრომა".

— **„მოწაფეთა ხმა".** სოც. აღზრდის მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა ყველა სასწავლებელთა გამგეებს ხელი შეუწყონ მოწაფეთა გაზეთის გავრცელებას.

— **გამსესხებელი ამხანაგობები.** საქ. მთავრობის განკარგულებით გურიის სხვა და სხვა კუთხეებში გახსნილ იქნება გამსესხებელი ამხანაგობები.

— **რძის ფული.** ოქტომბრის განმავლობაში დამზღვევმა კასამ დაურიგა ძუძუმწოვარ ბავშთათვის დახმარებად 8.582 მან.

— **შეფობის მიღება.** ტფ. მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მიიღო შეფობა სოფ. სართიჭალაზე.

ნ.დ. ს. ც ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე